შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა

შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტ(ებ)ის განხორციელებისათვის

ხელშეკრულება

2019

ხელშეკრულება 5/12.

08.10.2019 წ

ქუთაისი

ერთი მხრივ, შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა, (შემდგომში-დამკვეთი) მისი რექტორის **იოსებ კაჭახიძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო** (შემდგომში„შემსრულებელი“) მისი დირექტორის **გიორგი ხვადელიძის** სახით, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ვთანხმდებით ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ის-

1. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
6. შემაჯამაბელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

პრაქტიკის კომპონენტის ერთობლივი განხორციელება;

1.2. მხარეები საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და მათი წესდებების შესაბამისად;

1.3. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შემდეგი დანართები:

2.ხელშეკრულების განხორციელების პირობები

2.1. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოხდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, „შემსრულებელი“ გამოყოფს შესაბამისი დარგის სპეციალისტს, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება (საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილებისა, მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6-თვიანი გამოცდილება ინგლისური A1, საოფისე პროგრამების კარგი ფლობა) - პრაქტიკის ინსტრუქტორ(ებ)ს (7 სტუდენტზე 1 ინსტრუქტორი, სულ 25 ინსტრუქტორი) , რომელიც ვალდებულია მომსახურება გაწიოს უშუალოდ;

2.1.1.კლინიკურ მოდულებში სწავლების განმახორციელებელის ფუნქციაა მიიღოს მონაწილეობა:

- მოდულის განხორციელების მიზნით საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფაში;
- მოდულის განხორციელების დაგეგმვისას კალენდარული გეგმის შედგენაში;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასებაში ;

2.1.2. **პასუხისმგებლობა:**

- წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2.1.3. უფლება-მოვალეობები:

- შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით;
- არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;
- შეატყობინოს კლინიკას თუ პროფესიული სტუდენტი არ დადის პრაქტიკაზე ან/და თუ სისტემატიურად არღვევს დაწესებულებაში არსებულ შინაგანაწესს, უსაფრთხოების, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების (საჭიროების შემთხვევაში) და/ან სხვა ნორმებს.
- გადასცეს კლინიკას თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების/არდადასტურების დოკუმენტაცია;
- თუ პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად გაფრთხილებისა, არ იცავს დაწესებულებაში არსებულ წესებს/ ნორმებს, დროულად აცნობოს „დამკვეთს“ ასეთი ფაქტის გამოვლენის შესახებ.
- პროფესიულ სტუდენტთა წახალისების მიზნით მოდულის დასრულების შემდეგ გადასცეს კლინიკას საუკეთესო პროფესიული სტუდენტ(ებ)ის დახასიათება.

2.2. პრაქტიკის ობიექტი პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ერთდროულად მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 175 პროფესიულ სტუდენტს;

2.3. „შემსრულებელს“ მომსახურების გაწევისას, მისი ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შეუძლია მხოლოდ „დამკვეთის“ წერილობითი თანხმობით.

2.4. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე “დამკვეთმა”“შემსრულებელს”უნდა მიაწოდოს პროფესიული სტუდენტების სია (შეთანხმებული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა სიის რედაქტირება შესაძლებელია პრაქტიკის დაწყებამდე);

2.5. „შემსრულებელი“ ვალდებულია მომსახურება გაწიოს სკოლის პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ვადებში;

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. „შემსრულებელი“ვალდებულია:

3.1.1 შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით;

3.1.2 პროფესიულ სტუდენტებს ვიზიტის პირველ დღეს გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი, ინფექციური უსაფრთხოების და ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის/ეთიკის წესები, პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;

3.1.3 თუ მომსახურების გაწევის პროცესში „შემსრულებელმა“ დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, დამკვეთის მოთხოვნით, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება;

3.1.4 თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზი და გარემოება საფრთხეს უქმნისან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს განხორციელებას, დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს";

3.1.5 გაწიოს მომსახურება მის მფლობელობაში არსებული ინვენტარის გამოყენებით(ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამისად);

3.1.6. უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა; პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან.

3.1.7. გადასცეს „დამკვეთს",თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების/არდადასტურების დოკუმენტაცია;

3.1.8. თუ პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად გაფრთხილებისა, არ იცავს დაწესებულებაში არსებულ წესებს/ ნორმებს, დროულად აცნობოს „დამკვეთს" ასეთი ფაქტის გამოვლენის შესახებ.

3.1.9. პროფესიულ სტუდენტთა წახალისების მიზნით მოდულის დასრულების შემდეგ გადასცეს დაწესებულებას საუკეთესო პროფესიული სტუდენტ(ებ)ის დახასიათება.

3.2. „შემსრულებელს" უფლება აქვს:

3.2.1. მოთხოვოს „დამკვეთს" პროფესიული სტუდენტის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება;

3.2.2. არ დაუშვას პროფესიული სტუდენტი პრაქტიკაზე, თუ იგი სისტემატიურად არღვევს დაწესებულებაში არსებულ შინაგანაწესს, უსაფრთხოების, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების (საჭიროების შემთხვევაში) და/ან სხვა ნორმებს.

3.3. „ დამკვეთი" ვალდებულია:

3.3.1 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

3.3.2 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ინფორმაცია, რაც აუცილებელია მომსახურების სათანადო დროში და ხარისხით შესრულებისათვის;

3.3.3 გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

3.4. „დამკვეთს" უფლება აქვს:

3.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს „შემსრულებლის" მიერ შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი, „შემსრულებლის"საქმიანობაში ჩარევის გარეშე;

3.4.2. მოსთხოვოს „შემსრულებელს" მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.

3.5. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი;

3.5.2. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთი"„შემსრულებელს" დროულად არ გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურს, დამკვეთს დაეკისრება გადახდის დაგვიანებისათვის პირგასამტეხლო, ვადამოსული გადასახდელი თანხის **0.05%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3.5.3. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელმა“ არ განახორციელა მომსახურება ხელშეკრულებით ან დანართით გათვალისწინებულ ვადებში, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხელო შესაბამისი სამუშაოს ღირებულების **0.05%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. მოქმედების ვადა, ანგარიშსწორება და ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა შორის მისი ხელმოწერის დღიდან და ამოქმედდება „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების(ავტორიზაციის) მოპოვების შემთხვევაში;
4.2. ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 (ექვსი) წლის განმავლობაში;
4.3. ხელშეკრულების ვადის გასვლისას თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადა გაგრძელდება ისევ 6 (ექვსი) წლით;
4.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური ერთ პროფესიულ სტუდენტზე 30 ლარის ოდენობით.
4.5. ხელმოწერის დღედ ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული თარიღი;
4.6. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი მოდულის დაწყებამდე ერთი თვით ადრე აცნობოს მეორე მხარეს;
4.7. მომსახურების საფასურის გადახდა დამკვეთმა უნდა მოახდინოს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

5. ფორსმაჟორი

5.1. ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში ვალდებულებათა შესრულება გადაიწევს იმ ვადით, რა ვადითაც იარსებებს ხელისშემშლელი პირობები.

6. სხვა დებულებებები

6.1. ხელშეკრულება შცვლილებებისა და დამატებების შეტანა და საშვებია მხოლოდ წერილობითი სახით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
6.2. მხარეები ვალდებული არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მხარეთა რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმემ მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის
6.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან;
6.4. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7 საგანმანათლებლო პროგრამის - **საექთნო საქმე** კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები, პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობები:

1. **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბაკალავრის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	1. მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6-თვიანი გამოცდილება. **2.საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5- წლიანი გამოცდილება მიმართულებით:** 1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 2. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 4. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 5. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 6. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა; შინმოვლის მომსახურება.
უცხოური ენები (მინიმალური მოთხოვნა)	ინგლისური A1
კომპიუტერული უნარები	საოფისე პროგრამების კარგი ფლობა

2. **სწავლების პროცესში ჩართული პირის ძირითადი ფუნქციები:**

კლინიკური მოდულ(ებ)ით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განახორციელოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული პროფესიული სტუდენტის სწავლება და შეფასება.

3. **აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად, სწავლების პროცესში ჩართული პირი:**

ა) პასუხისმგებელია:

- განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვა;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისათვის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნა, ასევე სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო გარემოს შექმნა;

ბ) ვალდებულია:

განახორციელოს კლინიკის პასუხისმგებელი პირის მიმართ ანგარიშგება/ინფორმაციის გაცვლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხებზე;

- განახორციელოს კოლეჯის პასუხისმგებელი პირის მიმართ ანგარიშგება/ინფორმაციის გაცვლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხებზე;
- განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლება სრული მოცულობით და დადგენილი პირობებით;
- განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დადგენილი წესის დაცვით.

გ) უფლებამოსილია:

- დასვას პროფესიული სტუდენტის მიმართ არადისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;
- დასვას პროფესიული სტუდენტის წახალისების საკითხი;
- დასვას ნებისმიერი პრობლემური ან/და სხვა საკითხი, რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

7. მხარეთა რეკვიზიტები

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა საიდენტიფიკაციო კოდი: 412672157 მისამართი: მ. დვალიშვილის 13 «თიბისი ბანკი» ქუთაისი. ბანკის კოდი TBCBGE22 ანგ. N GE27TB7190036080100002 ელ.ფოსტა: info@kms.edu.ge ხელმომწერი პირი: იოსებ კაჭახიძე რექტორი	შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო ს/ნ მისამართი: ბანკის რეკვიზიტები: ხელმომწერი პირი: გიორგი ხვედელიძე დირექტორი ბ.ა.